20.10.2022

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2022 წლის სექტემბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 1.2 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 1.7 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 10.7 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები 16.6 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 14.2 პროცენტით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 1.8 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 6.4 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის სექტემბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის სექტემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**110.7**	**10.69**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**116.6**	**0.34**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**114.2**	**11.29**
10	კვების პროდუქტები	116.7	5.62
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**93.6**	**-0.98**
E	**წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**101.8**	**0.04**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.10.2022

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge